



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33

„02“ აპრილი 2015 წელი

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №3 განკარგულებაში და ამავე განკარგულების დანართი №3-ით დამტკიცებული ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად;
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41);

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი

ახალგაზრდული ღონისძიებების
პროგრამა

მიზანი: ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა კულტურით და სპორტით, ჯანსაღი წესის დანერგვა, კულტურული თვითშეგნების ამაღლება

ღონისძიების დასახელება	თარიღი	თანხა (ლარი)	შენიშვნა
ახალგაზრდული ბანაკი	ივნისი	10 600	მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის
ექსკურსია		3300	
რა? სად? როდის?		800	
ეტალონი		4960	
მხიარული სტარტები		3000	
ნიჭიერი და წარჩინებული ახალგაზრდების დაფინანსება		7340	საერთაშორისო ფესტივალებზე საქართველო, საზღვარგარეთ
სულ:		30 000 ლარი	

შედეგი: განვითარებული ახალგაზრდობა სოფელში.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი